Funded by the European Union

შემოქმედებითი ევროპა

განხორციელების ვადა: 01.01.2014 - 31.12.2020

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 4 600 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
DG EAC

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/CreativeEuropeEU/?fref=ts, https://twitter.com/europe_creative

პროექტის ვებსაიტები: ec.europa.eu/programmes/creative-europe

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ ხელს უწყობს კულტურის და შემოქმედებითი სექტორეების განვითარებას.
ის მხარს უჭერს პროექტებს, რომლებსაც აქვს მოგზაურობის, ახალ აუდიტორიებზე წვდომის, უნარების გაზიარების და განვითარების პოტენციალი.
მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა სრულად მონაწილეობენ კულტურის ქვეპროგრამაში, და ნაწილობრივ - მედიის პროგრამაში (ტრენინგი, ფესტივალები, ფილმებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საქმიანობა და ბაზრების ათვისება). პარტნიორ ორგანიზაციებს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც პროგრამაში არ მონაწილეობენ (აზერბაიჯანი და ბელარუსი), შეუძლიათ გაერთიანება ნებისმიერ კონსორციუმში, რომელსაც ჰყავს შესაბამისი პარტნიორების მინიმალური რაოდენობა. კულტურის ქვეპროგრამაში გამოყოფილი დაფინანსების მაქსიმუმ 30% შეიძლება მესამე ქვეყნებში დაიხარჯოს.
სომხეთი 2018 წლის 1 იანვრიდან აწარმოებს მოლაპარაკებას შემოქმედებით ევროპის კულტურის ქვეპროგრამაში მონაწილეობაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- კულტურის და შემოქმედებითი სექტორების მხარდაჭერა ციფრული ეპოქის და გლობალიზაციის შესაძლებლობებით სარგებლობის მიზნით.
- სექტორების ხელშეწყობა მათი ეკონომიკური პოტენციალის მიღწევაში, მდგრადი განვითარების, დასაქმების და სოციალური ერთიანობის მხარდაჭერა.
- ევროპის კულტურის და მედია სექტორების ახალ საერთაშორისო შესაძლებლობებზე, ბაზრებსა და აუდიტორიებზე წვდომის უზრუნველყოფა.